პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 283 (11894)

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთიანი დიადი რევოლუციური მოძღვრებაა, გზის მანათობელი ვარსკვლავია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელებისათვის იმ დიადი ბრძოლის ყველა ეტაპზე, რომელიც წარმოებს მშვიდობის, თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — კომუნიზმის შექმნისათვის.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებიდან

მთელი მსოფლიოს კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური პროგრამა

გუშინ ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების ტექსტი. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ეს თვალსაჩინო მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტი მოწოდებულია შეასრულოს უდიდესი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი როლი იმ დიადი მიზნებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დგას ყველა ქვეყნის კომუნისტების, მუშათა კლასის, მშრომელების, ხალხთა პროგრესული ძალების წინაშე.

მოსკოვის თათბირი იყო ჭეშმარიტად მსოფლიო კომუნისტური ფორუმი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციებმა. ყველა საკითხის განხილვა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობის ატმოსფეროში მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უარყოფი პრინციპების საფუძველზე. თათბირმა ერთხმად მიიღო კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადება, აგრეთვე მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი. კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის დიადმა ლენინურმა იდეამ ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

თათბირის საპროგრამო დოკუმენტში — განცხადებაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირმა მარქსისტულ-ლენინური, ანალიზი და ვრცელი დახასიათება, განზოგადებულია კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცხოველსაკენელი წლების მრავალმხრივი გამოცდილება, შეჯამებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის თვალსაჩინო მიღწევათა შედეგები. განცხადებაში განსაზღვრულია სოციალისტური ბანაკის შემდგომი შეკავშირების გზები, აღნიშნულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალი შეალებლობანი და ამოცანები.

მიმართავა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, შეიცავს მეზნებარე მოწოდებას, რომ შეკავშირდნენ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრისათვის — მსოფლიო ომის თავიდან აცილების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ორივე დოკუმენტი — განცხადება და მიმართვა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ახალი ნიმუშია, კომუნისტური და მუშათა პარტიების ოლექტიური გონების განსახიერებაა, ეს დოკუმენტები ახალი ისტორიული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ადგენენ, ავითარებენ და ამდიდრებენ 1957 წლის დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის იდეებს, რომელთა ისტორიკ სავსებით დაადასტურა განვლილი სამი წლის მოვლენათა მსვლელობამ.

„ამ წლების მთავარი შედეგია, — აღნიშნულია განცხადებაში, — მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის სწრაფი ზრდა, აქტიური პროცესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარტყმებით, კლასობრივი ბრძოლების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შემდგომი დაძვეიდება და დაფლვა. მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო იჩენს თავს სოციალიზმის ძალების უპირატესობა იმპერიალიზმთან შედარებით, მშვიდობის ძალებისა — ომის ძალებთან შედარებით“.

შეფასება და დასკვნები, რომლებიც თათბირმა მისცა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს, დიდმნიშვნელოვანი წვლილია მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების, კომუნისტური და მუშათა პარტიების მთელი იდეოლოგიური და პოლიტიკური საქმიანობის ამაღლების საქმეში ახალი ისტორიული ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად.

განცხადებაში მოცემულია თანამედროვე ეპოქის შეცნიერული დახასიათება. „ჩვენი ეპოქა, — ნათქვამია განცხადებაში, — რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის, სოციალიზმის მასშტაბით სოციალიზმის და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა“.

„ჩვენი დროის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის სწრაფი ზრდა, აქტიური პროცესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარტყმებით, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ფულადი სისტემა, ეროვნული ჯარი, ეროვნული ენერგეტიკა, ეროვნული ინტელიგენციის ფენა, ეროვნული ინტელიგენციის ფენა, ეროვნული ინტელიგენციის ფენ

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის მონაწილენი აკეთებენ განცხადებებს, რომლებშიც აღნიშნავენ, რომ ეს თათბირი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა კომუნისტური და მუშათა პარტიების ცხოვრებაში, მთელი მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

სავსებით ჩაიფუშა რეაქციისა და იმპერიალიზმის მთელი იმედები, რომ კომუნისტური ძალები გაითიშებოდნენ, განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ლუიჯი ლონგომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ. თავის განცხადებაში გაზეთ „უნიტასადმი“ ლონგომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის პირველი და უმნიშვნელოვანესი შედეგია დადასტურება მთელი კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სწორი პოლიტიკის საფუძველზე, რომლის დერძია ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისა და მშვიდობისათვის.

„თათბირი წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ წამოყენებული ყველა პრინციპული დებულება, რომელთა შემდგომი დამუშავება მოხდა მოსკოვის წინა თათბირზე 1957 წელს, ინარჩუნებს თავის ძალას“.

ინტერვიუში გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტისადმი დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა თქვა, რომ თათბირის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ყველა კომუნისტისათვის, არამედ აგრეთვე ყველა იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

თათბირმა, თქვა გოლანმა, ენერგიულად და ერთსულოვნად დადასტურა თვალსაზრისი, რომ მსოფლიო ძალების შეცვლილი თანაფარდობის შედეგად ომი აღარ არის გარდუვალი. მშვიდობის მძლავრ ძალებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ იმპერიალისტური აგრესია.

თათბირმა მოიწონა სოციალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის. მან მიიღო მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, რომელიც მოუწოდებს მოქმედების ერთიანობისაკენ, რათა არ იქნეს დაშვებული თერმოატომგულის ომი, მიღწეული იქნეს განიარაღება, მოიხპოს კოლონიური სისტემა, განადგურებულ იქნენ ძალები, რომლებიც ომს ამზადებენ, და მოპოვებულ იქნეს მტკიცე მშვიდობა. სწორედ ამ მიზნების მიღწევას მოხმარდება მთელი კომუნისტური მოძრაობის ძალები.

მსოფლიოს ძალების შეცვლილმა თანაფარდობამ, თქვა შემდეგ გოლანმა, კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა სოციალიზმის გზით წინსვლისათვის, კერძოდ, მთელ რიგ ქვეყნებში გაჩნდა შესაძლებლობა მიაღწიონ ახალ ცვლილებას ისე, რომ არ იქნეს სამოქალაქო ომი. ინგლისელი კომუნისტები განსაკუთრებით მიესალმებიან ამ ახალ ყოველსმომცველ განცხადებას, რომელიც თათბირმა მიიღო, რამდენადაც ეს შეხედულებანი უნიშვნელოვანეს საკითხებზე ამოსავალი პუნქტია ჩვენი პროგრამისა „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“.

გოლანმა აღნიშნა, რომ ეს თათბირი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და წარმომადგენლობითი იყო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. თათბირში მონაწილეობდნენ 81 კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. ის ფაქტი, რომ განცხადება მიღებულ იქნა ერთსულოვნად და რომ ამით კიდევ უფრო განმტკიცდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, დიდი გამარჯვებაა მშვიდობის საქმისთვის და გამანადგურებელ ლაბავის სცემს იმ ელემენტებს კაპიტალისტურ დედაქალაქებში, რომლებიც იმედს ამყარებენ გათელვაზე.

ფინურმა გაზეთმა „ქანსან უუტისეტმა“ გამოაქვეყნა ფინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ეილე პესის განცხადება. აღნიშნა, რომ მოსკოვის თათბირის ფართო წარმომადგენლობითი ბასიათი, ვ. პესიმ ხაზი გაუსვა, რომ „ეს თათბირი მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის წარმომადგენელია“. აღინიშნა, რომ „ეს თათბირი — [illegible] — ამ [illegible] — [illegible] — [illegible] —

დიადი მოძრაობის გამარჯვება

გამოხმაურება უცხოეთში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაზე

პეკინი. პეკინის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების სრული ტექსტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის ცენტრალურმა რადიოსადგურმა და ჩინეთის სხვა ქალაქების რადიოსადგურებმა არაერთგზის გადასცეს განცხადების დაწვრილებითი შინაარსი.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურმა გაზეთებმა პირველ გვერდზე დიდროინ სათაურებით დაბეჭდეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება. „რუდო პრავო“ ამ ისტორიულ დოკუმენტს უწოდებს „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საბრძოლო პროგრამას“. „მშვიდობა და სოციალიზმი გაიმარჯვებენ!“ — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი. „ეგი შავი შრიფტით გამოჰყოფს განცხადების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია სოციალისტური ქვეყნების უფლებათანასწორობისა და შეკავშირების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, იმის შესახებ, რომ სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი გავლენა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე ჩვენი დროის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

ბუქარესტი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის უფელა ცენტრალური გაზეთი, რომელებიც დიდრონი სათაურებით გამოაქვეყნეს განცხადების სრული ტექსტი, აღნიშნავს იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია სოციალიზმის გამარჯვების გარდუვალობაზე, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის სწრაფ ზრდაზე, და მის გადაქცევაზე აუამოსანი საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზრდასა და განმტკიცებაზე, კოლონიური სისტემის დაშლაზე, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შემდგომ დაქვეითებასა და გახრწნაზე.

სოფია. ბულგარელი ხალხი დიდი ინტერესით შეხვდა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას. გაზეთებს, რომლებშიც განცხადების ტექსტი იყო, ოტაცებდნენ. დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ განცხადების დასკვნას, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებს შეუძლიათ აღკვეთონ იმპერიალისტების ცდები გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი.

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებისადმი. მონღოლეთის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც ახალი დადასტურებაა ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ერთგულებისა მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი პრინციპებისადმი, მოსკოვის 1957 წლის თათბირის დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტისადმი. როგორც განაცხადა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. ცენდმა, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტია, მისი საბრძოლო დროშა და მოქმედების სახელმძღვანელოა. განცხადება დამაჯერებლად მოწმობს, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტური და მუშათა პარტიების მონოლითური შეკავშირება, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული არიან. საყოველთაოდ აღიარებული ავანგარდი იყო და რჩება საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტია — მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე გამოცდილი და გამოწრთობილი რაზმი.

ჰელსინკი. ფინურმა გაზეთმა „კანსან უუტისეტმა“ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების სრული ტექსტი გამოაქვეყნა ცალკე დამატებად და მიუძღვნა მას მოწინავე სტატია.

„მოსკოვის თათბირი ცხადყოფს, — წერს გაზეთი, — თუ რამდენად დარწმუნებულია გამარჯვებაში და შეგნებული აქვს თავისი ძალა ამჟამად კომუნისტურ მოძრაობას. თათბირმა აგრეთვე ცხადყო ბურჟუაზიული სპეკულაციების უსაფუძვლობა წინააღმდეგობათა შესახებ, რომლებიც ვითომდა გაჩნდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში“.

ნიუ-იორკი. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ თავის დილის გამოშვებაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ცნობა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების შესახებ. განცხადების სრულ ტექსტს იგი გამოაქვეყნებს 7 დეკემბერს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აქვეყნებს დეპეშათა საავგენტოების მიერ გადაცემულ განცხადების შინაარსს და სათაურში ხაზს უსვამს განცხადების განყოფილებას, რომლებიც მშვიდობიან თანაარსებობას ეხება.

ლონდონი. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება ლაზარია მშვიდობისა და პროგრესის მოწინააღმდეგეებისადმი, იგი აღფრთოვანებს და ამხნევებს ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის ბედი, წერს ინგლისური გაზეთი „დეილი უორკერი“, რომელმაც თათბირის მასალებს ორი გვერდი დაუთმო.

ის ფაქტი, რომ, თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, ომი არ არის გარდუვალი, წერს მეორე ინგლისური გაზეთის „დეილი ჰერალდის“ ფურცლებზე ლეიბორისტული პარტიის თვალსაჩინო წევრი მაიულ ფუტი, დიდ შესაძლებლობებს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალებს. რეიტერის საააგენტო, რომელმაც გადასცა განცხადების მოკლე ნაწყვეტები, აგრეთვე აღნიშნავს განცხადების ამ დიდმნიშვნელოვან დებულებას და აცხადებს, რომ მასში „ხაზგასმულია კომუნისტური სამყაროს რწმენა მშვიდობიანი თანაარსებობისადმი“.

პარიზი. „განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი“ — ასე ახასიათებს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ლუმანიტე“ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას. გაზეთი აქვეყნებს განცხადების ტექსტს და ხაზს უსვამს, რომ თათბირის მონაწილეებს კომუნისტური პარტიების შემდგომი შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მიაჩნიათ მუშათა კლასის მთელი ძალების, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების გაერთიანების უმნიშვნელოვანეს პირობად, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ახალ გამარჯვებათა საწინდრად. მეორე ფრანგული გაზეთი „პარი-ჟური“ თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ „მოსკოვის თათბირის განცხადების ერთ-ერთი თავარი იდეაა ის, რომ მთავარია მშვიდობისათვის ბრძოლა.

გაზეთი „ორორი“ იუწყება თათბირის დოკუმენტების ერთსულოვანი მოწონების შესახებ და მოჰყავს განცხადების ძირითადი დებულებანი. ამ ცნობის სათაურში ნათქვამია: „ომი აღარ არის გარდუვალი!“ — ნთქვამია კომუნისტური თათბირის დოკუმენტში.

რომი. გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების სრული ტექსტი. „აკობრიობა შეიძლება განთავისუფლდეს და კიდევაც უნდა განთავისუფლდეს ომის კოშმარისაგან“, „კოლონიალიზმის სრული კრახი გარდუვალი გახდა“, „ახალი შესაძლებლობანი კომუნისტებისთვის მიაღწიონ სოციალიზმის გამარჯვებას“, „კომუნისტური პარტიების ერთიანობა და შეკავშირება მუშათა მოძრაობის ახალ გამარჯვებათა გარანტიაა“, — გაზეთმა ასეთი სათაურები გაუკეთა ამ განცხადების ცალკეულ განყოფილებებს.

იტალიის სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს განცხადების ტექსტის შინაარსი. გაზეთი „ჯუსტიციია“ აღნიშნავს, რომ დოკუმენტში, რომელიც მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, ნაწინასწარმეტყველებია მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების გამარჯვება.

• • •

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის განცხადებას დიდი ყურადღება დაუთმეს ბუდაპეშტის, ვარშავის, ბერლინის, ჰანოის, კოპენჰაგენის, ბონისა და მსოფლიოს სხვა ქალაქების გაზეთებმა. (საკდესი).

კოლონიზატორთა მხეცობა

პარიზი, 6 დეკემბერი, (საკდესი). თავაშვებული მობუტუელი არამზადები მხეცურად ეპყრობიან და აბუჩად იგდებენ პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას. თვითონ მობუტუმ, რომელიც არ მალავს თავის განზრახვას ანგარიში გაუსწოროს ლუმუმბას, მოურიდებლად განაცხადა: „ლუმუმბა გთავაზობთ ადამიანია“.

ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება: პატრის ლუმუმბა ახლა ტისვილის „ჰარდის ბანაკის“ ცალკე საკანში ჰყავთ. არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელს, არც საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელს არ დართეს ნება შეხვედროდა ამ საკანში პ. ლუმუმბას. ტისვილის გარნიზონის უფროსმა ბობოსომ ნება არ დართო აგრეთვე ეჭიმს გაესინჯა პატიმარი.

პ. ლუმუმბას გარშემო შექმნილმა ამ უმკაცრესმა საიდუმლოებამ, აღნიშნავს ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი, გამოიწვია სხვადასხვა ხმები მისი ბედის შესახებ. ლეოპოლდვილში ამბობენ, რომ ლუმუმბას ისე სცემეს, რომ მის გახიებულ სახეს ვეღარ იცნობთო. ამბობენ აგრეთვე, რომ ლუმუმბას თმა გადაპარსეს.

ამავე ხმების მიხედვით, აღნიშნავს კორესპონ დენტი, ცხრა პოლიტიკურ კონგოელ მოღვაწეს, რომლებიც პ. ლუმუმბასთან ერთად შეიპყრეს, ასევე ეჭცეციან, ერთერთი მათგანი — კონგოს სენატის თავმჯდომარე კოზეფ ოკიტო, როგორც ფიქრობენ, გარდაიცვალა ცემის შედეგად.

როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, ეგრეთ წოდებული „სამხრეთ კასაის სამთომადნო სახელმწიფოს“ თვითმარქვია მეთაურმა კალონჟიმ წინადადებით მიმართა მობუტუ - კასავუბუს ხროვას გადაიყვანოს „უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავე“ ლუმუმბა შუა კონგოში — ბაკვანგის ცენტრალურ საპყრობილეში, სადაც კოლონიზატორთა აგენტები ალბათ აბირებენ ფიზიკურად მოსპონ პატრის ლუმუმბა.

ჯონგო. ერთ-ერთი ტიპიური სცენა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, სადაც თარეშობენ კოლონიზატორები და მათი მობუტუელი დაქირავებული აგენტები — ტერორისტები და კაცისმკვლელები.

მოგუტუ თავხედობს

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოელ მეამბოხეთა მეთაურმა მობუტუმ დღეს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნებას არ დართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე ოფიციალურ წარმომადგენელს ნახოს პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა, რომელიც ცალკე საკანშია მოთავსებული ტისვილის სამხედრო ბანაკში.

აცნობა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჯერ არ მიუმართავს მისთვის ასეთი თხოვნით, მობუტუმ თავხედურად განაცხადა, რომ „არასოდეს“ არ მისცემს ამის ნებას.

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის წარმომადგენელმა კონგოში გუშინ განაცხადა, რომ კონგოს აღმოსავლეთმა პროვინციამ, სადაც ძალაუფლება პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას მომხრეთა ხელშია, დახოვა თავისი საზღვრები. კანონიერი მთავრობის მომხრე ჯარებმა შეკრეს გზები, რომლებითაც აღმოსავლეთი პროვინცია დაკავშირებულია ლეოპოლდვილთან.

მოგზაურობა

ბონი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ დღეს გამოაქვეყნა დადგენილება ინდონეზიაში ჰოლანდიის უდიდესი ბანკის ნაციონალიზაციის შესახებ. ამრიგად, ახლა სახელმწიფოს ხელში გადავიდა ჰოლანდიის სამეგე უდიდესი ბანკი, რომლებიც ინდონეზიის ტერიტორიაზე იყვნენ.

რაკეტული გაზეგი თურქეთში

სტამბოლი, 5 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, ნატოს პროგრამის შესაბამისად თურქეთში 1961 წლის იანვრიდან დაიწყება რაკეტების გასაშვები ახალი მოედნების მშენებლობა.

ამერიკული თანამგზავრი აფეთქდა

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა გუშინ მარცხი განიცადეს „სპაუტნიკ“ რაკეტის საშუალებით თანამგზავრის გაშვების ცდის დროს. გაშვება განახორციელა იერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ უოლოფსის კუნძულიდან (ვირგინიის შტატი). სამმართველოს სპეციალისტები მარცხს იმით ხსნიან, რომ ოთხსაფეხურიანი რაკეტის მეორე საფეხური არ ამუშავდა.

ლაოსის ამგეგი

ვიენტიანი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რადიო „პატეტ-ლაოს ხმა“ იუწყება, პატეტ-ლაოს ძალების საბრძოლო ნაწილებმა გათავისუფლეს ქალაქი ფია ფეი (ბაქსის პროვინცია კვემო ლაოსში) ფუმი ნოსავანის მეამბოხე ძალებისაგან.

ხემო ლაოსში, ქსიენგ ქჰოანგის პროვინციაში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო საააგენტო, პატეტ-ლაოს საბრძოლო ნაწილებმა იერიში მიიტანეს საგუშაგოზე, სადაც განლაგებულია მეამბოხე ჯარისკაცთა ასეული. ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ, მეამბოხე ჯარები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ და დაეტოვებინათ მთელი ქონება, რომელიც მათ ადგილობრივ მოსახლეობას წაართვეს.

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანნა ფუმამ გუშინ განაცხადა, რომ მან ოფიციალურად მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ იარაღისა და სამხედრო ტანსაცმელის მიწოდება მეამბოხე შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც იმუქრებიან მისი მთავრობის დამხობას.

სუვანნა ფუმამ შემდეგ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მის მთავრობას არ აწვდიან არც იარაღს, არც საომარ მასალას მას შემდეგ, რაც იგი ხელისუფლებას ჩაუდგა სამოგეში 9 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ, რომლის შედეგად დიემხო ლაოსის უკანასკნელი პროამერიკული მთავრობა. მან თქვა, რომ ამჟამად იგი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან არც ფინანსურ დამხმარებას იღებს.



მაკმილანი: ძალიან გთხოვთ, სერ, თუ ღილაკს თითს დააჭერთ, საშველი რგოლი მომეცით.

პაპასის ნახატი ინგლისურ გაზეთ „გარდიანიდან“.

ჰოლი-ლოჰის ყურეში

ალიკვეთოს უკანონობა კონგოში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკელ ეერების ორგანიზაციის გენერალური გუშინ გამოაქვეყნა გვინეის ეროვნული სკეპ ტურეს ორი დეპეშა ამერიკელ ეერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. დეპეშებში ნაგულისხმევია პროტესტი კონგომბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის საქმიანობის წინააღმდეგ.

გვინეის რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა, ნათქვამია ერთ-ერთ დეპეშაში, ფიზიკურად აღშფოთებულია იმის გამო, რომ ბელგიელ პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას, და ანგოლელ პრემიერ-მინისტრ ნეტოს ბრალად ედებათ თავიანთ შიშს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიციის გამო კონგოში, რომ

გვინეის პრეზიდენტის სეკუ ტურეს დეპეშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ლებიც აშკარად მხარს უჭერენ უკანონო და თვითნებურ მოქმედებას. ასეთი მდგომარეობის გამო გვინეის რესპუბლიკა ამიერიდან იტოვებს უფლებას თამართოს სხვა საშუალებებს აფრიკის ჩაჩოებში, რათა მხარი დაუჭიროს კონგოელ ხალხს ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე დეპეშაში სეკუ ტურემ გვინეის რესპუბლიკის მთავრობის სახელით პროტესტი გამოთქვა იმ თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ, რაც ამით გამოიხატა, რომ კონგოს ტერიტორიიდან გაძევებულ იქნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და გინის დიპლომატიური წარმომადგენლობანი. გვინეის რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია დეპეშაში, აღშფოთებულია ამ უკანონო ღონისძიებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებას. იგი პროტესტს აცხადებს კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეუწყნარებელი გულგრილობის წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აღადგინოს წარმომადგენლობანი, რომლებიც ასე აბუჩად აიგდეს, და აღკვეთოს ასეთი უკანონობის გამეორება.

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲓᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ

ახლოვდება ახალი 1961 წელი, მთავრდება ჩვენი შვიდწლედის მეორე წელი. ეს დღეები აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის ახალი შესანიშნავი მიღწევებით — გაშვებულ იქნა მესამე კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი, რომელზეც არიან ცოცხალი არსებანი. ამავე დღეებში მთელი საბჭოთა ხალხი გაახარა ცნობამ, რომ მზად არიან და მწყობრში დგებიან ჩვენს ქვეყანაში უდიდესი და მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე ბრძმედი კრივო როგის მეტალურგიულ ქარხანაში, გიგანტური საგლინავი დგანი მაგნიტოგორსკის ქარხანაში, აგებულია 320 ათასი კილოვატი სიმძლავრის უნიკალური ტურბოგენერატორი ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილაში“. ყოველდღე მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ასეთი ამბები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი შვიდწლედის დევგმირულ წინსვლას. სოციალისტური წყობილება საიმედოდ უზრუნველყოფს ეკონომიური აღმავლობის ისეთ ტემპს, როგორიც მიუღწეველია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ამის ახალი დადასტურებაა აგრეთვე სამეურნეო წლის შედეგები, რომელსაც ახლა აჯამებს მთელი სოციალისტური ბანაკი.

სულ სხვა ვითარებაა კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე ძლევამოსილ, ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მის ჰორიზონტზე გამოჩნდა შავი ღრუბლები: ამერიკის შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა და ამასთან დაკავშირებულმა ქვეყნის ოქროს მარაგის შემცირებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ბევრი ამერიკელი ეკონომისტი ალაპარაკდა დოლარის კრიზისსა და მისი დევალვაციის გარდუვალობაზე. ამასთან ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ შექმნილი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების უზარმაზარი ხარჯები საზღვარგარეთ, რომლებიც არ შეიძლება კომპენსირებულ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსის აქტიური სალდოთი. საქმე ეხება ხარჯებს, რომლებიც გამოწვეულია ვაშინგტონის ცივი ომის პოლიტიკით. ეს პოლიტიკა ნაკარნახევია ამერიკელი იმპერიალისტების პრეტენზიით, რომ ისინი უნდა „ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოს“. სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობა და შენახვა, აგრეთვე ამერიკის ჯარების შენახვა მთელ რიგ ქვეყნებში, მარიონეტული რეჟიმებისათვის სამხედრო დახმარების გაწევა, ჯაშუშური ქსელის შენახვა და ძირგამმთხრელი პროპაგანდის ორგანიზაცია სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ისეთ უდიდეს თანხებს ნთქავენ, რომლებსაც მდიდარი ძია სემის ჯიბემაც კი ვერ გაუძლო.

**ვაშინგტონი, რომელსაც თავზარი დასცა ოქროს მსოფლიო ბაზარზე დოლარის კურსის საშიშმა დაცემამ, იძულებულია ლონისძიებანი მოიმოქმედოს ამერიკული ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ლონისძიებათა მიზანია, ერთ-ერთი ამერიკელი ეკონომისტის სიტყვით, „ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე“. ეს ლონისძიებანი ეხებიან ამერიკელ ტურისტებს, ინვესტიციებს, ფულადი ოპერაციებს, ბანკებს, ფასიანი ქაღალდებს, ბაჟებს, ექსპორტ-იმპორტს, ფასებს, ხელფასებს, ფასდაკლებებს, ფულადი ანაზღაურებებს, ფულადი ანაზღაურებებს, ფულადი ანაზღაურ



ლიტერატურა და ხელოვნება

აკაკის ერთტომეული რუსულ ენაზე

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების ერთტომეული (ვ. მარგველაშვილის რედაქციით), სადაც წარმოდგენილია დიდი მწერლის ყველა ჟანრის ნაწარმოები. დიდი ნაწილი თარგმანებისა ახლად არის შესრულებული, ანდა საერთოდ პირველადაა გაკეთებული (ლირიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, აკაკის წერილ-წვრილი მოთხრობები). პირველად გაეცნობა არაქართველი მკითხველი აგრეთვე აკაკის ნარკვევებსა და წერილებს. ყურადღებას იქცევს კრებულში აკაკის მიერ რუსულად დაწერილი თხზულებები, რომლებიც ან პირველად ქვეყნდება (პიესა „საოჯახო რევოლუცია“) ან პირველად შედის აკაკის გამოცემებში (მოთხრობები „ნეფტალი-ხანი“, „გველის ქვა“, „მოურავის აღსარება“, მთელი რიგი ნარკვევებისა და ფელეტონებისა).

პოეზია კრებულში წარმოდგენილია ნ. ზაბოლოცკის, პ. ანტოკოლსკის, ბ. პასტერნაკის, ვ. დერჟავინის, ა. კოჩეტკოვის, ვ. ზვიაგინცევას, ს. სპასკის, ბ. ბრიკის, ი. სნეგოვის, ე. ნიკოლაევსკაიას, ბ. რეზნიკოვის, გ. მარგველაშვილის, ნ. გრუბნების თარგმანებით.

პროზა თარგმნილია ე. ღოღობერიძის („ჩემი თავგადასავალი“), ფ. თვალთვაძის („ბაში-აჩუკი“), თ. ბებურიშვილისა და გ. მარგველაშვილის („შმაკები“, „სამგვარი სიყვარული“, „სიკვდილი“, „საავადმყოფოში“, „მტირალი დედა“) მიერ.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა თარგმნა გ. მარგველაშვილმა.

ერთტომეულს დართული აქვს გ. მარგველაშვილის ვრცელი გამოკვლევა ა. წერეთელზე და მისივე შენიშვნები.

წიგნი გაფორმა მხატვარმა ლადო ქუთათელაძემ, ბარელიეფი ყდაზე — ნ. ჩერნიშოვისა.

წიგნი შეიცავს 800-მდე გვერდს და ღირს 20 მანეთი.

ბალხური მუსიკის ზეიმი

ჩვენმა ხალხმა იცის მუსიკის ფასი. სიმღერასა. და ცეკვაში ჩაუქსოვია თავისი ლხინი და ძნელბედობა, გრძნობა და ნიჭი. ხალხი იცნობს თავის განცდებს, ჩაქსოვილს ლექსში, ბგერასა თუ ფრესკაში...

მხატვრული თვითმოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადა დაიწყო. ფარდა აიხადა... სცენაზეა გორის ბამბეულის კომბინატის კლუბის გუნდი. შუქ სიღრმეში მტკვარს მიჰყვეხა ძველი ტივი, დაბინდულ ხაპირზე კი ყლერს ძველებური ნაღვლიანი „მეტივური“. ასე იწყება მუსიკალური მონტაჟი „გორი ჭსოვს მშვიდობის დროშას“, მშვენივრად გაზარებული და გაფორმებული ვ. ყუშიტაშვილის, ო. გორდელისა და ივ. ასკურავას მიერ. ეს არის საქართველოს ისტორია მუსიკალურ მინიატიურაში. ამ სვდიან სიმღერას მოსდევს ვაჟკაცური „მუმლი მეხსა“. ჯუტეხელი ქართველი კაცი ხელს ჰკიდებს გუთანს, მალე კი სცენაზე სიცოცხლის ყვავილებივით იჩრებიან მოცინარი გოგო-ბიჭები — იწყება „ცანგალა“. ამას მოსდევს ხალხის საყვარელი სიმღერა „გაფრინდი, შავო მერცხალო“... ყოველივე ამას ამაყი დუმილით დასცქერის სიმტკიცის სიმბოლო, მრავლის მომწერე გორის ციხე.

სცენა იცვლება. იგრძნობა სხვითა სიჭარბე: ეს ოქტომბრის მზე აცისკროვნებს გორის ციხეს. დიდების დღეებია. სამუშაროში მშვენიერი გორელი ქალიშვილები ქსოვენ მშვიდობის დროშას... აი მოქსოვეს კიდეც სიმღერით, ცეკვით, ღიმილით — სისხლივით წითელი, ნამივით სპეტაკი და სიყვარულივით ნაზი.

...სადღაც ხეობის სიღრმიდან ისმის ხალხური საგმირო სიმღერა, სცენაზე ნელნელა გამოდიან ხელახლაკიდებული სვანი ვაჟკაცები. ისინი უმღერიან უკვდავ და უბერებელ ყანსავ ყიფიანს. ამაღელვებელია სიმღერა თამარდედოფალზე. ეს სიმღერა-ფერხული შემდეგ მესტიის გუნდმაც შეასრულა, მაგრამ მათ შორის განსხვავება მეტია, ვიღრე მსგავსება. ეს ეხება შესრულების სტილსაც, რიტმსაც და ხასიათსაც. ორივე კი თავისებურად მომზიდველია, და ეს მეტყველებს გუნდების ხელმძღვანელთა შემოქმედებითს თავისთავადობაზე.

ნიჭიერი ხელმძღვანელის ჯოკა მეშვილიანის ხელმძღვანელობით ლენტეხის გუნდმა წარმატებით შეასრულა აგრეთვე „ლალე კოჯას ხელვაჟალე“, „კვარია“ და „შიში ვერგილ“. ამას მოჰყვა გრ. კოკელაძის „სიმღერა პარტიაზე“. მშვენივრად ეწყობა ძველი სვანური ჩანგი და ჭუნერი ახალი ცხოვრების სიმღერებს!

მაყურებლის გულწრფელი აღტაცება გამოიწვია ცაგერის გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ მ. კოპალიანი, ჯ. მეშველიანი და შ. ახვლედიანი. გმირულმა ცეკვამ „ფარიკაობამ“ მოლოდინს გადააჭარბა. ხმალთა მოულოდნელ წკრიალზე მოცეკვავე ქალები იფახტებიან და მზიანი სცენა წამიერად იქცევა ბრძოლის ველად. ფარი ფარს ეგზინება, ხმალი ხმალზეა გადაჯვარედინებული, უკან კი ცისფერკაბიანთა რიგი მღელვარე გულით ელოდება ბრძოლის დასასრულს... მერე იმართება მსუბუქი სახასიათო ცეკვა. აქ ღიმილიც კი მუსიკის ნაწილია.

მთის სურნელება შემოაქვს სცენაზე ყაზბეგის გუნდს ნინო თოფაძის ხელმძღვანელობით. გუნდი ასრულებს თოფაძისავე სიმღერას „სალამი თბილისს“, აგრეთვე „ახალ საქართველოს“. ნამდვილი მთების შვილები არიან ბუთხეზი და ფიცხელაური ცეკვა „ყაზბეგურში“. ეს ერთი ყაზბეგელი ისე დასეირნობს ფეხის წვერებით, თითქოს ფეხის ბალიში ამბავი იყოს. მომხიბლავად შესრულდა სიმღერები „მოხევის ფიცი წრფელია“, „მთაში მწყემსები მიდიან“. სიყვარული დაამახასოა თ. მიროაქიშვილმა, რომელმაც შეასრულა კოტა ხეთაგუროვის სიმღერა „მახურე მაი“ (ჩემი მზე ხარ)...

„მესტიის გუნდი პლატონ ზადაანის ხელმძღვანელობით“ აცხადებს წამყვანი, და დარბაზი წინასწარ ქუხს, თუმცა ჯერ ფარდაც არ ახდილა. ამ გუნდსა და მის სიმღერებს დიდი ხანია იცნობს ქართველი ხალხი. როგორც მეფამ, ამ ოლიმპიადაზეც გაამართლა მესტიის გუნდმა ეს პატივი, დაიცვა საქართველოს უძველესი სიმღერის ღირსება.

„ლილე“ დასრულდა.. ტაშის გრიალში დარბაისლურად, აუჩქარებლად სხდებიან სვანი მომღერლები, ჩანგი და ჭუნერი უჭირავთ ხელში. წამით სცენა თითქოს ცივდება, მაგრამ არა, ეს გაახრებული დუმილია, რაც წინ უსწრებს ძველებურ „ვიცებლმაცილს“, ძმების ტრაგედიას.

შესანიშნავად შესრულდა ფერხული „დიდება“, სოზარ-ცირაყი“, „ლემჩილი“. ნელი რიტმით უკლიან სცენას მომღიმარი სვანი ქალიშვილები. საერთო აღტაცება გამოიწვია ნიჭიერმა ახალგაზრდა ჰოეტმა, ამჟამად ცხუმარის კოლმეურნეობის თავჯდომარემ ვ. საღლიანმა თავისი მშვენიერი ლექსით — „საქართველო“.

ყოველ კუთხეს აქვს თავისებური ცეკვები და სიმღერები, მაგრამ ყოველთვის იგრძნობა, რომ ეს სიმღერები ერთი დიდი ქართული მუსიკალური მდინარის ნაკადებია. ამ მრავალფეროვნების მთლიანობა აძლევს ქართულ ცეკვასა და სიმღერას იმ დაუშრეტელობასა და მოხუმენტალობას, რითაც არაერთხელ განცვიფრებულან მოძმე რესპუბლიკებში, უცხოეთში.

აკ. გელოვანი.

ხელოვნების ქრონიკა

„პატარა კახი“

△ **სოხუმის** სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად დადგა მისი პიესა „პატარა კახი“. დადგმა განახორციელეს ლ. ჭედიამ და ვ. ნინოიძემ, მხატვრულად გაფორმა ა. ვეროელიშვილმა, მუსიკა დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა მ. ბერიკაშვილმა. აკაკის სახე შექმნა ა. ბოკუჩავამ.

„დიმიტრი თავდადებული“

△ **ბიათურის** აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. კიკვაძის „დიმიტრი თავდადებული“. სპექტაკლი დადგეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სებისკვერაძემ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცოფაიამ. მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბიანდაძემ. როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ვაშაძე, მსახიობები ა. მოსაშვილი, ნ. ერიაშვილი, ბ. დურმიშიძე და სხვ. (საკ. კორ.).

კინოსეანსები ეზოებში

გათუმი. (საკ. კორ.). მშრომელთა უფროს მომსახურების მიზნით კინოთეატრ „კულტურის სახლის“ მუშაკები მოძრავი დანადგარის საშუალებით ფილმებს უჩვენებენ ქალაქის დიდი სახლების ეზოებში. ამ დღეებში ნაჩვენები იქნა კინოსურათები „ლენინი ოქტომბერში“, „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“, „შეხვედრა სფრანგეთში“ და სხვ., რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. კინოსურათების ჩვენების წინ ეწყობა ლექციო-მოხსენებები ხალხთა დიდ მეგობრობაზე, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

კინოთეატრს გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის იუბილესთვის მზადების დღეებში მოაწყოს ქართული კინოფილმების ფესტივალი.

მეზღვაურთა ოჯახი

კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის მკვიდრნი ქარგა იცნობენ ბახტაძეების ოჯახს, რომელსაც სამართლიანად მეზღვაურთა ოჯახს უწოდებენ.

პირველი პიონერი, რომელმაც ზღვისადმი სიყვარული შეიტანა თავის ოჯახში, იყო მისი თავკაცი ივანე ბახტაძე. შვილები კონსტანტინე, ლავრენტი და დავით ბახტაძეები მამის კვალს გაჰყვნენ და ზღვას დაუმეგობრდნენ. ორნი — კონსტანტინე და ლავრენტი ფოთში ცხოვრობენ, პირველმა 40 წელი გაატარა გემთშემკეთებელი სახელოსნოს სამჭედლო ჯურასთან. სამეოცე წლის წინათ ვალმოხდილი მჭედელი ზეიმით გააცილეს ნავსადგურელებმა პენსიაზე.

მეორე — ლავრენტი ვერ შორდება ზღვას და კვლავ მუშაობს როგორც ვეტერანი მყვინთავი. როცა უნდა დაუძახონ, ეს ჭარმაგი, ჩაგრამ ლომივით ულრეკი ვაჟკაცი რეზინის კომბინეზონს ჩაიცვამს და ზღვის ფსკერზე ჩაეშვება.

მესამე ძმა დავითი ჯერ კიდევ 1917 წლიდან აზოვის ზღვისპირა ქალაქ ედანოვში ცხოვრობს. უბრალო მეზღვაური, გემის კაპიტანი, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე — ასე იცნობენ მას არა მარტო ედანოვში, არამედ შავი და აზოვის ზღვების სანავსადგურო ქალაქებშიც. ამას წინათ იგი, როგორც სამოქალაქო ომის წლებში აზოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. მის მკერდს ამშვენებს სამამულო ომის წლებში თავდადებისა და მამაცობის საამაყო ჯილდოები — ლენინისა და სამამულო ომის II ხარისხის ორდენები, აგრეთვე რამდენიმე მედალი.

ერთი წელიც არ არის, რაც დავითი პენსიაზე გადავიდა, მენავსადგურეთა მწყობრში კი თავის მემკვიდრედ ჰყავს შვილი ივანე, რომელიც ედანოვის ნავსადგურის ერთ-ერთი ბოცმანია.

ტრადიციულ შეჯიბრებაში ჩაბმული ედანოვისა და ფოთის ნავსადგურების კოლექტივები ენერგიულად შრომობენ ტვირთბრუნვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ კოლექტივებში საპატიო ადგილს უჭირავთ ბახტაძეთა ოჯახის წევრებსაც, რომლებსაც ახარებთ ერთმანეთის წარმატებანი.

კ. კომახიძე.

დ. ბახტაძე.

ხელოვნების ქრონიკა

„ბაში-აჩუკი“

△ **ბაკურიანის** ბალნეოლოგიურ კურორტზე ბ. ბაბაევის „ბაში-აჩუკის“ ბალეტი ოსეთ-ინგილოეთ-ქართველ ხალხთა ოლიმპიადის ფარგლებში